

XII დანართი

მოხსენიებული 5.21 მუხლში

საზღვაო ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება

XII დანართი

მოხსენიებული 5.21 მუხლში

საზღვაო ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება

მუხლი 1

მოქმედების სფერო

ეს დანართი ვრცელდება მხარეების მიერ მიღებულ ღონისძიებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ საზღვაო ტრანსპორტით ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე.

მუხლი 2

განმარტებები

ამ დანართის მიზნებისთვის:

- (a) “საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურება” ნიშნავს საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვას და მგზავრების საერთაშორისო გადაყვანას, მათ შორის, საწყისი პუნქტიდან საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე ან მულტიმოდალურ სატრანსპორტო ოპერაციებს.
- (b) საწყისი პუნქტიდან საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვა და მულტიმოდალური გადაზიდვა გულისხმობს ერთზე მეტი სატრანსპორტო სახეობის მეშვეობით ერთიან

სატრანსპორტო დოკუმენტით ტვირთების გადაზიდვას ზღვის გამოყენებით და სხვა სატრანსპორტო სახეობების მიწოდებას ან მათზე წვდომას;¹

- (c) „საზღვაო დამხმარე მომსახურება“ გულისხმობს შემდეგ მომსახურებას:
 - (i) „საზღვაო სატვირთო მომსახურება“ გულისხმობს სტივიდორული კომპანიების, მათ შორის, ტერმინალის ოპერატორების საქმიანობას, მაგრამ არ მოიცავს დოკერების უშუალო საქმიანობას, როდესაც ეს მუშახელი ორგანიზებულია სტივიდორული ან ტერმინალის ოპერატორი კომპანიებისაგან დამოუკიდებლად. მითითებული საქმიანობა მოიცავს შემდეგი ქმედებების ორგანიზებასა და ზედამხედველობას:
 - (aa) ტვირთის დატვირთვა/გადმოტვირთვა გემზე/გემიდან;
 - (bb) ტვირთის შეკვრა/გახსნა; და
 - (cc) ტვირთის მიღება/გადაცემა და შენახვა გადაზიდვამდე ან გადმოტვირთვის შემდეგ.
 - (ii) "საბაჟო შემოწმების მომსახურება" (ან „საბაჟო საბროკერო მომსახურება“) გულისხმობს მეორე მხარის სახელით განხორციელებულ საბაჟო პროცედურებს, რომლებიც უკავშირდება იმპორტს, ექსპორტს ან ტვირთის გადაზიდვას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მომსახურება მომსახურების მიმწოდებლის ძირითად თუ დამატებით საქმიანობას წარმოადგენს.
 - (iii) "საკონტეინერო სადგური და სასაწყობე მომსახურება" გულისხმობს საქმიანობას, რომელიც შედგება კონტეინერების განთავსებისაგან როგორც ნავსადგურის ტერიტორიაზე, ასევე ხმელეთზე მათი შევსების/დაცლის, შეკეთებისა და გადაზიდვისათვის მომზადების მიზნით.

¹ ამ განმარტების მიზნებისთვის, ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ანიჭებს მომხმარებელს უფლებამოსილებას გააფორმოს ერთიანი ხელშეკრულება სატრანსპორტო კომპანიასთან სატრანსპორტო ოპერაციაზე საწყისი პუნქტიდან საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე.

(iv) "საზღვაო სააგენტოს მომსახურება" გულისხმობს საქმიანობას, რომელიც მოიცავს მოცემულ გეოგრაფიულ არეალში ერთი ან მეტი საზღვაო ხაზის ან გადამზიდავი კომპანიის ბიზნეს ინტერესების წარმოდგენას აგენტის სახით შემდეგი მიზნებისთვის:

(aa) საზღვაო სატრანსპორტო ან მასთან დაკავშირებული მომსახურების მარკეტინგი და გაყიდვა ფასების კვოტირებიდან ანგარიშ-ფაქტურის წარდგენამდე, კონოსამენტის გაცემა კომპანიების სახელით, აუცილებელი დამხმარე მომსახურების შესყიდვა და შემდგომი გაყიდვა, დოკუმენტების მომზადება და ბიზნეს ინფორმაციის მიწოდება; და

(bb) იმ კომპანიების სახელით მოქმედება, რომლებიც ორგანიზებას უწევენ გემების შესვლას ან საჭიროების შემთხვევაში ტვირთების მიღებას.

(v) "ტვირთის გადაზიდვის მომსახურება" გულისხმობს საქმიანობას, რომელიც მოიცავს გადამზიდავების სახელით გადაზიდვის ოპერაციების ორგანიზებას და მონიტორინგს სატრანსპორტო და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიღების, დოკუმენტების მომზადებისა და ბიზნეს ინფორმაციის მიწოდების გზით.

(d) "ფიდერული მომსახურება" გულისხმობს ზღვის მეშვეობით საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვას მხარის ტერიტორიაზე მდებარე ნავსადგურებს შორის, მათ შორის, კონტეინერებით, ტრანზიტით დანიშნულების ადგილამდე, ან გადაზიდვის ნავსადგურიდან, იმ მხარის ტერიტორიის გარეთ;

(e) "ეკიპაჟის წევრები" გულისხმობს კაპიტანსა და გემზე დასაქმებულ ნებისმიერ პირს რეისის დროს გემის მართვის, ექსპლუატაციისა და მომსახურების ფუნქციების შესრულებისას და ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც შეყვანილია ამ გემის ეკიპაჟის სიაში; და

(f) "ნავსადგური" გულისხმობს ადგილს, სადაც გემებს შეუძლიათ ლუზის ჩაშვება ან მიბმა თავშესაფრის მიღების, სარემონტო სამუშაოების განხორციელების, ტვირთის დატვირთვის ან გადმოტვირთვის, მგზავრთა ჩასხდომის ან გადმოსხდომის მიზნით, ან სხვა მსგავსი ღონისძიებებისთვის, რომელიც დაკავშირებულია საზღვაო ვაჭრობასთან და რომელიც მოიცავს

ყველა სახმელეთო ტერიტორიასა და აკვატორიას და აღნიშნულ ფუნქციებთან დაკავშირებულ კონსტრუქციას, აღჭურვილობასა და საშუალებას.

მუხლი 3

ბაზარზე დაშვება არადისკრიმინაციული პირობებით²

1. მხარის საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებლებს ექნებათ შეუზღუდავი დაშვება საერთაშორისო საზღვაო ბაზრებზე და ვაჭრობაში კომერციულ და არადისკრიმინაციულ საწყისებზე.
2. მხარეები გააუქმებენ და თავს შეიკავებენ ნებისმიერი ცალმხრივი ღონისძიებების მიღებისგან და ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა დაბრკოლებების შექმნისაგან, რასაც შეიძლება ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მომსახურების თავისუფალ მიწოდებაზე.
3. თითოეული მხარე მიაჩნებს მეორე მხარის დროშის ქვეშ მცურავ ან მეორე მხარის მომსახურების მიწოდებლის მიერ ოპერირებად გემებს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ის ანიჭებს საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებში მონაწილე საკუთარ გემებს ან მესამე მხარის გემებს, იმის მიხედვით, თუ რომელია უკეთესი, შემდგომში ჩამოთვლილთან დაკავშირებით, მათ შორის: ნავსადგურში თავისუფალი შესვლა, ნავსადგურის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გამოყენება, საზღვაო დამხმარე მომსახურების გამოყენება³, როგორცაა:
 - (a) სალოცმანო გაცილება;
 - (b) გემის ჩაბმა და ბუქსირება;
 - (c) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
 - (d) გემის საწვავითა და წყლით გამართვა;
 - (e) ნარჩენების შეგროვება და ბალასტის ჩაბარება;

² ეს მუხლი არ ვრცელდება შვეიცარიაზე.

³ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საზღვაო მოდელის განრიგის -დამატებით ვალდებულებებში აღნიშნული

(f) ნავსადგურის კაპიტნის მომსახურება;

(g) სანავიგაციო დახმარება;

(h) გემის ოპერირებისთვის აუცილებელი სახმელეთო ოპერაციული მომსახურება, მათ შორის, კომუნიკაციები, წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდება;

(i) გადაუდებელი შეკეთება;

(j) ღუზაზე და ნავმისადგომთან დგომადა სანავმისადგომე მომსახურება,

და საზღვაო დამხმარე მომსახურების გამოყენება, ასევე მასთან დაკავშირებული საფასურები და გადასახდელები, საბაჟო საშუალებები და დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის ნავმისადგომისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა.

4. არცერთ მხარეს აქვს უფლება შეიტანოს ტვირთის განაწილების შესახებ პირობები საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებით სხვა ქვეყნებთან გასაფორმებელ მომავალ შეთანხმებებში. თუ ასეთი პირობები უკვე გათვალისწინებულია წინა შეთანხმებებში, აღნიშნული პირობები უნდა გაუქმდეს ამ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე.
5. ამ დანართში მოცემულ საქმიანობასთან დაკავშირებით მხარეები ნებას რთავენ მეორე მხარის კომპანიებს იქონიონ საკუთარი კომერციული წარმომადგენლობები მათ ტერიტორიებზე შვილობილი საწარმოების, ფილიალების ან წარმომადგენლობითი ოფისების სახით. აღნიშნული კომერციული წარმომადგენლობა დაექვემდებარება დაფუძნებისა და საქმიანობის ისეთ პირობებს, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია მიმღები მხარის შვილობილი საწარმოების, ფილიალების ან წარმომადგენლობითი ოფისების პირობებისა.
6. საქმიანობა, რომელშიც შეიძლება ჩაერთოს შვილობილი საწარმო, ფილიალი და წარმომადგენლობითი ოფისი უნდა შეესაბამებოდეს მიმღები მხარის კანონმდებლობასა და რეგულაციებს.

7. მხარეს არ შეუძლია მიიღოს ან გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მეორე მხარის საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებს ხელს უშლიან გააფორმონ პირდაპირი კონტრაქტები ტრანსპორტის სხვა სახეობების მიმწოდებლებთან მულტიმოდალური სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებაზე.
8. ერთი მხარის საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებს უფლება აქვთ გადაადგილონ მათი საკუთარი/ლიზინგით აღებული სატრანსპორტო აღჭურვილობა, როგორცაა ცარიელი კონტეინერები, რომელთა გადაზიდვა არ ხდება ტვირთის სახით თანხის გადახდის სანაცვლოდ, ნებისმიერი სხვა მხარის ნავსადგურებს შორის.
9. თითოეული მხარე უფლებას ანიჭებს მეორე მხარის საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებს განახორციელონ ფიდერული მომსახურება ამ მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ ნავსადგურებს შორის.

მუხლი 4

ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება

1. მხარის გემები და ეკიპაჟის წევრები დაიცავენ მეორე მხარის შესაბამის კანონმდებლობას, წესებსა და რეგულაციებს მათი გაჩერებისას, მათ შორის, ამ უკანასკნელის ტერიტორიულ წყლებში, შიდა წყლებსა და ნავსადგურებში გაჩერებისას.
2. მხარის კომპეტენტური ორგანოები საკუთარი ნავსადგურებში არ ჩაერევიან მეორე მხარის გემების შიდა საქმეებში, გარდა იმ შემთხვევისა:
 - (a) როდესაც საამისოდ არსებობს შესაბამისი მხარის თხოვნა ან მისი დიპლომატიური ან საკონსულო ორგანოების თანხმობა;
 - (b) თუ ეს ეხება ნავსადგურში ან ნაპირზე მშვიდობასა და საზოგადოებრივ წესრიგს ან მოხდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა გემზე მომხდარი მოვლენის ან მისი შედეგის გამო;
 - (c) თუ საქმეში ჩართული პირები არ არიან ეკიპაჟის წევრები.
3. ეს მუხლი არ ზღუდავს მხარეთა უფლებებს უზრუნველყონ ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის, იმიგრაციის, საბაჟოს,

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, სიცოცხლის დაცვის, გემის დაცვისა და ნავსადგურებში უსაფრთხოების წესების დაცვის, სახიფათო ტვირთებისა და გარემოს დაბინძურების საკუთარი რეგულაციების დაცვა.

4. ეს მუხლი არ ვრცელდება გემის დაპატიმრების მოთხოვნებზე იმ სარჩელის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გემს შეიძლება დაედოს ყადაღა.

მუხლი 5

გემის დოკუმენტების აღიარება

1. ნებისმიერი მხარის გემის დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია ან აღიარებულია სათანადო საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, უნდა იყოს აღიარებული სხვა მხარეების მიერ.

2. თითოეული მხარე ცნობს ტონაჟის საერთაშორისო მოწმობას (1969), რომელიც სათანადო წესით არის გაცემული გემების გაზომვის შესახებ 1969 წლის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ნავსადგურის მოსაკრებლებისა და ხარჯების გადახდა ხორციელდება ტონაჟის საფუძველზე, გაანგარიშების საფუძველი იქნება აღნიშნული სატონაჟო მოწმობა (1969).

მუხლი 6

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მეზღვაურთა შესვლა და ტრანზიტისგაყვანა

1. საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების ხელშეწყობის მიზნით თითოეული მხარე აღიარებს მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ სათანადო წესის შესაბამისად გაცემულ მეზღვაურთა/ეკიპაჟის წევრთა მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ეს დოკუმენტებია:

- (a) საქართველოს შემთხვევაში, „პასპორტი“ და „მეზღვაურის წიგნაკი“;
- (b) ისლანდიის შემთხვევაში, „პასპორტი“ და „საზღვაო სამსახურის წიგნაკი“;

(c) ნორვეგიის შემთხვევაში, „პასპორტი“ და „საზღვაო სამსახურის წიგნაკი“;

(d) შვეიცარიის შემთხვევაში, „პასპორტი“ და „მეზღვაურის წიგნაკი“.

2. მხარის გემზე მომსახურე მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არის მესამე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები.

3. მხარის საიმიგრაციო კანონმდებლობის გათვალისწინებით, მეორე მხარის გემის ეკიპაჟის წევრი, რომელიც ფლობს პირველ პუნქტში განსაზღვრულ მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს:

(a) დაიშვება ამ მხარის ტერიტორიაზე, ნაპირზე დროებით ყოფნის მიზნით, თუ ეკიპაჟის წევრთა სია უკვე გადაცემულია საპასპორტო კონტროლის ან საიმიგრაციო ორგანოებისთვის;

(b) შეძლებს გემის დატოვებას ეკიპაჟის წევრის სტატუსით, თუ ეს ხდება ამ მხარის ნავსადგურში და ამ მხარის ტერიტორიის დატოვებას;

(c) დაიშვება ამ მხარის ტერიტორიაზე გემზე ეკიპაჟის წევრის სტატუსით ასვლის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ იგი ფლობს სატრანსპორტო კომპანიის ან მისი წარმომადგენლის დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი უნდა გახდეს კონკრეტული გემის ეკიპაჟის წევრი ამ მხარის ნავსადგურში.

4. მხარეს არ აქვს უფლება გაატაროს დისკრიმინაციული ღონისძიებები მეორე მხარის ეკიპაჟის წევრების მიმართ, ამ მხარის ნავსადგურებში ან მის ტერიტორიაზე მათი ყოფნის დროს.

5. იმ შემთხვევაში, თუ მხარის ეკიპაჟის წევრი საჭიროებს დაავადებაზე სამედიცინო მეთვალყურეობას ან მის მკურნალობას მეორე მხარის ნავსადგურში გემზე მისი გაჩერების პერიოდში, ამ უკანასკნელის კომპეტენტური ორგანოები ანიჭებენ ეკიპაჟის წევრს ამ მხარის ტერიტორიაზე გაჩერების ნებართვას სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით იქამდე, ვიდრე კომპეტენტური სამედიცინო დაწესებულება არ დაადასტურებს, რომ შესაბამისი ეკიპაჟის წევრს შესწევს გამგზავრების უნარი; ამასთან, გაჩერების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. აღნიშნული მეორე მხარე უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

6. არაფერი ამ მუხლში არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ეს ზღუდავდეს მხარეთა უფლებას უარი უთხრან მათ ტერიტორიაზე შესვლაზე ან გაჩერებაზე ნებისმიერ პირს, რომელსაც ისინი მიიჩნევენ მიუღებლად.

მუხლი 7

პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება და მომზადება⁴

თითოეული მხარე ნებას რთავს მეორე მხარის კომპანიებს ან სამრეწველო ორგანიზაციებს საკუთარ ტერიტორიებზე დააარსონ წარმომადგენლობა და პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების სააგენტოები, რომლებიც ისარგებლებენ ამ მხარის მეზღვაურებთან ან პოტენციურ მეზღვაურებთან პირდაპირი შრომითი ურთიერთობების დამყარების უფლებით. ასეთ კომპანიებს ან სამრეწველო ორგანიზაციებს ექნებათ ისეთი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის უფლება, როგორცაა ტრეინინგები. შესაძლებელია, რომ მეზღვაურებს, რომლებიც მიიღებენ ამგვარ მხარდაჭერას, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოეთხოვოთ კონტრაქტის საფუძველზე მუშაობა იმ კომპანიებში, რომლებმაც უზრუნველყვეს აღნიშნული მხარდაჭერა.

მუხლი 8

დასაქმების პირობები

1. თითოეული მხარე განახორციელებს მეორე მხარის ეკიპაჟის წევრის გემზე აყვანას მხარეთა შორის მოქმედი საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად.
2. მხარის მოქალაქის მეორე მხარის გემზე ეკიპაჟის წევრის სახით დასაქმების პირობები განისაზღვრება შრომით ხელშეკრულებაში.
3. თითოეული მხარე გაითვალისწინებს და მიიღებს მეორე მხარის გემის ეკიპაჟის წევრების დასაქმების პირობებს, რომლებიც განისაზღვრება შრომით ხელშეკრულებებში, კოლექტიურ ხელშეკრულებებში, სოციალური კეთილდღეობის სტანდარტებსა და სამუშაო პირობებში და რომლებიც მოქმედებს აღნიშნული მეორე მხარის რეგისტრირებული გემების ეკიპაჟის წევრებისთვის.

მუხლი 9

⁴ ეს მუხლი არ ვრცელდება ლიხტენშტაინსა და შვეიცარიაზე.

შრომითი დავების მოგვარების წესები

1. ნებისმიერი დავა ან სარჩელი, მათ შორის, დელიქტური სარჩელი, რომელიც წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების გამო ან მასთან დაკავშირებით ან მხარის მომსახურების მიმწოდებელსა და მეორე მხარის ეკიპაჟის წევრს შორის ურთიერთობის გამო ან მასთან დაკავშირებით და რომელიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, ხელფასთან დაკავშირებული სარჩელით და ეკიპაჟის წევრის ავადმყოფობის, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ან გარდაცველების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელით, განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მხარის კომპეტენტური სასამართლოების, ტრიბუნალისა და ორგანოების იმ ექსკლუზიურ იურისდიქციას, სადაც დარეგისტრირებულია გემი ან მხარის იმ ექსკლუზიურ იურისდიქციას, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს მომჩივანი იმ პირობით, თუ ეს პროცედურა არ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას. მხარეები უზრუნველყოფენ ასეთი საქმეების სათანადო სასამართლო მოსმენას მათი წარმოშობის შემთხვევაში.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება გემის დაპატიმრების მოთხოვნაზე ისეთი სარჩელის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გემს შეიძლება დაედოს ყადაღა.

მუხლი 10

დახმარება ეკიპაჟის მიერ გემზე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებში

1. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ ქმედებას ან ეკიპაჟის წევრი ეჭვმიტანილია გემზე დანაშაულის ჩადენაში, იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც რეგისტრირებულია გემი, მხარემ შეიძლება მოსთხოვოს მეორე მხარეს მტკიცებულების მოპოვება და საქმის აღძვრა.

2. მოთხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოები განიხილავენ ამ მოთხოვნას და მათი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებენ გადაწყვეტილებას გასატარებელი ღონისძიების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის მიმღები მხარე, მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ არის ადეკვატური, მან შესაძლებელია მოითხოვოს საჭირო დამატებით ინფორმაციას.

4. საქმე არ აღიძვრება მოთხოვნის მიმღები მხარის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დანაშაული, ითვლება დანაშაულად ამ მხარის

ტერიტორიაზე ჩადენის შემთხვევაში და თუ აღნიშნულ ვითარებაში, დამნაშავე ექვემდებარება სანქციებს მისი საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მოთხოვნის მიმღები მხარე დაუყოვნებლივ ატყობინებს მოთხოვნის წარმდგენ მხარეს მისი გადაწყვეტილების შესახებ და აცნობებს მას ნებისმიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებებზე ან გატარებულ ღონისძიებებზე.

6. ამ მუხლით განსაზღვრული მხარეების ყველა მოთხოვნა და კომუნიკაცია ხორციელდება დიპლომატიური ნოტების მეშვეობით.
